განმცხადებელი : ალექსანდრე მითაიშვილი
თარიღი : 16-08-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 4;პრინციპი 5;პრინციპი 10;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლობის ჟურნალისტი ჯენი კვანტალიანი

სადავო მასალა : აჭარის ტელევიზია, 2021 წლის 1 ივნისი, საღამოს 20:00 საათი. გადაცემა მთავარში გასული სიუჟეტი "შესაძლო კორუფცია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში"

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება:

ალექსანდრე მითაიშვილი 2019 წლიდან მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში კანცლერის პოეზიაზე, რომელიც არჩეული იყო წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 4 წლის ვადით. უნივერსიტეტში ერთმანეთისაგან გამიჯნულია სასწავლო და მენეჯერული ფუნქციები, სასწავლო ხაზით უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს რექტორი, ხოლო ფინანსურ-მენეჯერულ ფუნქციებს ითავსებს კანცლერი. მუშაობის ორი წლის განმავლობაში ალექსანდრე მითაიშვილმა გაატარა არაერთი რეფორმა უნივერსიტეტში, გახადა ფინანსური მმართველობა გამჭირვალე და შექმნა შიდა აუდიტის სამსახური, რასაც ბუნებრივია ყავდა, როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგეები. 2021 წლის გაზაფხულიდან მის მიმართ დაიწყო ბინძური პიარი, რასაც მოყვა 2021 წლის 01 ივნისს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული სიუჟეტი, რომელიც მთლიანად აგებული იყო მცდარ ინფორმაციაზე, სიმართლე წარმოჩინებული იყო დამახინჯებით, ხოლო ჟურნალისტმა ჯეინი კვანტალიანმა კი ფაქტების დამახინჯებით გადმოცემით და შელახა ალექსანდე მითაიშვილის რეპუტაცია. სიუჟეტი 2021 წლის 01 ივნისს გავიდა მთავარი გამოშვების 20:00 საათზე პირველ სიახლედ. სიუჟეტი შეიცავს შემდეგი სახის დარღვევებს: დარღვეულია ქარტიის 1 პრინციპი:

1. ჟურნალისტი სიუჟეტის შესავალში აღნიშნავს, რომ „ხელთ ჩამივარდა აუდიტის დასკვნა“, ხოლო შემდგომ, როდესაც ეკრანზე ამოდის ის მასალა, რომელსაც ჟურნალისტი უწოდებს „აუდიტის დასკვნას“ სინამდვილეში არ წარმოადგენს აუდიტის დასკვნას, ამდენად ჟურნალისტი ასაჯაროვებს არა აუდიტის დასკვნას, არამედ მიკერძოებით დამუშავებულ დოკუმენტს, სადაც პრობლემადაა წარმოჩენილი ის, რაც არარსებული პრობლემაა. ადგილი აქვს განზრახ ფაქტების დამახინჯებას.
2. ჯენი კვანტალიანმა სიუჟეტში გადასცა თითქოსდა ჩემი მხრიდან განხორციელდა საწვავის დახარჯვა ორ ნახევარ ტონამდე და აჩვენებს „კოროლა“-ს მარკის ავტომობილს. რაც არ შეესაბამება სიმართლეს, შიდა აუდიტით დადასტურებულია, რომ კოროლა მარკის ავტომობილს დახარჯული აქვს 156 ლიტრი საწვავი. მაყურებელზე უარყოფითი განწყობის შესაქმნელად, რამოდენიმეჯერ იმეორებს, რომ თითქოსდა ალექსანდრე მითაიშვილმა დახარჯა 2.5 ტონა საწვავი, თუმცა არ აღნიშნავს სიუჟეტში, რომ უნივერსიტეტის წინასწარ დადგენილ ბიუჯეტში, სადაც გათვლილი იყო თითოეულ ავტომობილზე საწვავის ლიმიტი, არც ერთ ავტომობილზე არაა წლიური ლიმიტი გადახარჯული, თითოეულ ავტომობილს, როგორ კანცლერის, ისე რექტორის და დანარჩენ ავტომობილებს აქვს წლიურ ლიმიტზე ნაკლები საწვავი მოხმარებული. ამდენად, ალექსანდრე მითაიშვილს არ მოუხმარია, კოროლა მარკის ავტომობილით 2.5 ტონა საწვავი.
3. სიუჟეტის შესავალ ნაწილში ჟურნალისტი ასევე აღნიშნავს, რომ ავტომობილის „კოროლა“-ს რემონტისათვის დაიხარჯა 18000 ლარი, რომლის შეკეთებაშიც თითქოსდა არაა ნახსენები ძრავის რემონტი, ჟურნალისტი აქვეყნებს გადაუმოწმებელ ინფორმაციას

ის აღნიშნავს „ჩვენთვის როგორც გახდა ცნობილი“, თუმცა ერთია, როცა ჟურნალისტს უფლება აქვს არ გაასაჯაროვოს წყარო, თუმცა ინფორმაცია უნდა იყოს ნამდვილი.

4. პრომლემურადაა ნაჩვენები შესყიდვები ავტომობილის რემონტთან დაკავშირებით, მაშინ როცა აღნიშნული შესყიდვები ტარდებოდა სატენდერო კომისიის მიერ და ალექსანდრე მითაიშვილი შესყიდვებში მონაწილეობდა როგორც თავმჯდომარე და გადაწყვეტილება მიიღებოდა კომისიური წესით, ასევე შექმნილი იყო ცალკე კომისია, რომელიც ადგენდა ავტომანქანაზე განსახორიცელებელი ტექ სამუშაოების მიზანშეწონილობას, მიზნობრიობას და ახორციელებდა სადეფექტო აქტების და ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მიიღებდა შერთულებულ სამუშაოებს, აღნიშნულ კომისიაში ალექსანდრე მითაიშვილი არ მონაწილეობდა. შესყიდვების წლიური ლიმიტი დამტკიცებული იყო უნივერსიტეტის ბიუჯეტით და განისაზღვრა 60000 ლარის ოდენობით, სწორედ ამ თანხის ფარგლებში ჩაუტარდა ავტომობილებს რემონტი. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა კომპანიამ წარმოადგინა ყველაზე მისაღები პირობები, რაც აკმაყოფილებდა სატენდერო განაცხადს, შესყიდვებს კი აკონტროლებს შესყიდვების სააგენტო და მათ არანაირი შენიშვნები არ ქონიათ.
5. სიუჟეტის მიმდინარეობის დროს, ჟურნალისტი ჯენი კვანტალიანი აქვეყნებს რექტორის წერილს, საწვავის ლიმიტის ცვლილებასთან დაკავშირებით, თუმცა აქ არანაირი დარღვევა არაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საწვავის ლიმიტი არც ერთ მანქანას არ აქვს დარღვეული, ყველა მანქანაზე განხორციელდა ეკონომია. რეპორტაჟის მიმდინარეობის დროს ჟურნალისტი ამბობს „ამ შესაძლო დარღვევების შესახებ პასუხის მოსმენა ვცადეთ“ მაშინ როცა აუდიტის დასკვნით არანაირ დარღვევას ადგილი არ ქონია. აღსანიშნავია, რომ რექტორი ხელმძღვანელობს სწავლების პროცესს და ის ვერ მიუთითებდა კანცლერს ფინანსური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, ასევე აღნიშნული წერილი გამოგზავნილია ბოლო პერიოდში, ჩემი სამსახურიდან გაშვებამდე.
6. სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ: ალექსანდრე მითაიშვილი სამუშაო საათებში არ იმყოფებოდა კაბინეტში და დახურულ კარების სახელურზე ძალის გამოყენებით რამოდენიმეჯერ ცდილობს გაღებას, თუმცა მან იცის, რომ მე კაბინეტში არ ვიყავი. უნივერსიტეტის სამუშაო საათები დადგენილია დილის 10 საათიდან - საღამოს 17 საათამდე და სწორედ 17;05 საათზე მიკავშირდება ჟურნალისტი (სიუჟეტშიც ჩანს და აღნიშნავს ჟურნალისტი, რომ ახლა არის 17;05 საათი), მე ვეუბნები, რომ ახალი გასული ვარ უნივერსიტეტიდან და შესაძლოა სადმე გზაში ავცდით“ მუხედავად, იმისა, რომ ჟურნალისტმა იცოდა, რომ სამუშაო საათების დასრულების შემდგომ გამოვედი სამსახურიდან, პირდაპირ ეთერში, მაინც ამბობს, რომ მე სამუშაო საათებში კაბინეტში არ ვიყავი. აღნიშნული ფაქტის დამახინჯებით მაყურებელი შეყავს შეცდომაში და კიდევ ერთხელ ეცადა უარყოფით ჭრილში წარმოვეჩინე, როგორც თითქოსდა უპასუხისმგებლო ადამიანი, რომელიც სამუშაო საათებში არ ვიყავი სამუშაო კაბინეტში.
7. ჟურნალისტთან სატელეფონო კავშირის დროს ჯეინი კვანტალიანი ალექსანდრე მითაიშვილს თხოვს შეხვედრას, რა დროსაც მითაიშვილი ეუბნება: „შეხვედრის საშუალება არ მაქვს, ბავშვს უნდა მივაკითხო და განრიგს თქვენს ხო არ შეგითანხმებთო“, ჟურნალისტის პასუხი კი იყო „ცოტა კორექტულად ისაუბრეთ“ თუმცა მითაიშვილს არ დაურღვევია კორექტურობის ზღვარი, ამდენად ჟურნალისტი მანიპულირებს რა მაყურებელზე და როგორც ზემოთაღვნიშნეთ ის წარმოაჩინა, როგორც უპასიხემგებლო ადამიანად, ამ შემთხვევაში კი კორექტურობაზე მითითებით ალექსანდრე მითაიშვილი წარმოაჩინა როგორც „უზრდელი“ პიროვნება, რომელსაც შეუძლია მიაყენოს შეურაცყოფა.
8. ალექსანდრე მითაიშვილთან სატელეფონო საუბრის დასრულების შემდგომ ჯენი კვანტალიანი პირდაპირ ეთერში ამბობს „კანცლერის შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით არ უარყოფენ არც....“ შემდგომ გადადის სხვა წინადადებაზე, თუმცა ჟურნალისტი სიუჟეტში არ აჩვენებს ვინ არ უარყოს ან ვინ ადასტურებს შესაძლო დარღვევებს. ან საერთოდ, რომელ დარღვევებზეა საუბარი, რობა არანაირი დარღვევა არ

ყოფილა. აღნიშნული წინადადებით ფაქტობრივად დაადანაშაულა ალექსანდრე მითაიშვილი არარსებული ბრალდებით.

9. რექტორთან ინტერვიუს დროს, კითხვის დასმისას ჟურნალისტი ეკითხება „რაში იხარჯებოდა პანდემიის დროს საწვავი, გარე ლექციები ტარდებოდა თუ რა? ძალიან დიდი ოდენობაა“ ჟურნალისტმა გამოხატა საკუთარი აზრი და შეაფასა თავისი შეხედულებისამებრ საწვავის გამოყენების ლიმიტი, მაშინ როცა საწვავის ლიმიტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დადგენილი იყო უნივერსიტეტის ბიუჯეტით, ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად პანდემიისას კანცლერს ევალება ყოველდღიურად, ჩვეულებრივი სამუშაო გრაფიკით მუშაობა, მის ფუნქციებში არ შედის სასწავლო პროგრამის ფუნქციები, შესაბამისად, ის როგორც მენეჯერი და ადმინისტრაციული ხელმძღვანელი ფინანსურ და მატერიალური ფასეულობების ნაწილში ერთი დღეც არ გაუცდენია სამსახურში. ამდენად, ჟურნალისტი, როცა აფასებს ალექსანდრე მითაიშვილმა "ძალიან დიდი ოდენობით საწვავი მოიხმარა" უკვე მეტყველებს მის მიერ მომზადებული რეპორტაჟის არსზე, თუ რა ამოძრავებდა მას. ამ კითხვის ადრესატი რექტორი არ ამბობს, რომ ალექსანდრე მითაიშვილმა დაარღვია ლიმიტის ზღვარი, ან 2.5 ტონა საწვავი არ უნდა მოეხმარა კანცლერს, რასაც ბუნებრივია ვერ იტყოდა, თუნდაც იმიტომ, რომ არც აუდიტის დასკვნაში წერია აღნიშნულის შესახებ და არც მოხმარებულა ალექსანდრე მითაიშვილის მიერ 2.5 ტონა საწვავი.

10. ჟურნალისტი აქცენტს აკეთებს ტოიოტა კოროლას მანქანის სარგებლობაზე, მაშინ როცა აღნიშნულ მანქანაზე არ დახარჯულა „ორ ნახევარი ტონა“ საწვავი და კანცლერი არც სარგებლობდა ამ მანქანას.

11. ჟურნალისტი დასკვნით სიტყვაში ამბობს, რომ „რატომ დაიხარჯა ტოიოტა კოროლაზე 18000 ლარი და რაში დახარჯა ორ ტონა ნახევარი საწვავი დისტანციურად მუშაობის ფონზე“. ალექსანდრე მითაიშვილი იყო ფინანსური მენეჯერი, მას ევალებოდა ინვეტანრიზაცია და ფინანსური ხარჯვის კონტროლი და მიზნობრიობა, მას საერთოდ არ ეხებოდა დინსტანციური მუშაობა. ჟურნალისტი აქცენტს აკეთებს თითქოსდა ის დისტანციურად მუშაობდა, ასევე რესპოდენტი დააყენა ტოიტოტა კოროლას წინ, თითქოს შეექმნა ილუზია ტოიოტა კოროლასთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტი ჯენი კვანტალიანის მხრიდან დარღვეულია ჟურნალისტთა ქარტიის შემდეგი პრინციპები: პრინციპი 1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. პრინციპი 4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს. პრინციპი 5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. პრინციპი 10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. პრინციპი 11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: • ფაქტის განზრახ დამახინჯება; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ განიხილოთ ჩემი განცხადება და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები